

## როგორ დავეხმარო ჩემს შვილს სწავლაში „ხანის აკადემიის“ მეშვეობით, სანამ სკოლები დახურულია?

ძვირფასო მშობლებო,

ვიცი, რამდენად შრომატევადია ბავშვების აღზრდა, სახლისა და პროფესიული საქმეების გაძღოლა, მით უმეტეს, როცა სკოლები დაკეტილია.

ვიცი ისიც, რომ ამ საკმაოდ ამაღელვებელ პერიოდში ჯანმრთელობა და უსაფრთხოება თქვენი მთავარი პრიორიტეტებია. გვინდა, იცოდეთ, რომ მზად ვართ, ხელი შეგიწყოთ იმაში, რომ თქვენს შვილს სკოლის დახურვის პერიოდშიც დავეხმაროთ სწავლის გაგრძელებაში. ქვემოთ მოცემულია ხუთი ყველაზე ხშირად დასმული შეკითხვა. დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: [info@educaregeorgia.com](mailto:info@educaregeorgia.com).

### როგორ ჩავაყენო შვილი სასწავლო რეჟიმში სკოლის დახურვის პერიოდში?

ეცადეთ, დღეში 2-3 საათი სწავლას დაუთმოთ. დაავალეთ შვილს, იკითხოს ერთი საათის განმავლობაში და ივარჯიშოს მათემატიკაში კიდევ ერთი საათი (არ არის აუცილებელი, ეს ყველაფერი ერთიანად გაკეთდეს). თუ თქვენს შვილს მეცნიერებისა და სამოგადოებრივი დარგების სწავლაც სურს - მთლად უკეთესი!

ბევრ ბავშვს სწავლა დილით უადვილდება და კითხვისა და მათემატიკისთვის სწორედ დილაობით ჯობია დროის გამონახვა. შუალედში შესვენებებისა და ფიზიკური აქტივობებისთვის გამონახეთ დრო.

### როგორ განვსაზღვრო, რა მასალაზე უნდა იმუშაოს ჩემმა შვილმა (თუ სკოლისგან მითითებები არ მიმიღია)?

ნახეთ თქვენი შვილის საშინაო დავალებები და სახელმძღვანელოები. სთხოვეთ მას, განახოთ, რა საკითხებს სწავლობს სკოლაში.

გაესაუბრეთ შვილს, რომ გაიგოთ, რამდენად კარგად ესმის გავლილი მასალა. ამგვარად გადაწყვეტთ, რა ქნათ: გაიმეოროთ არსებული მასალა თუ შეუდგეთ ახალ საკითხებს. „ხანის აკადემიაზე“ თქვენს შვილს შეუძლია, დაიწყოს რომელიმე

გაკვეთილი და ის მაშინვე მიიღებს რეკომენდაციას იმაზე, თუ რომელ გაკვეთილზე გადავიდეს შემდგომ.

### **რა მოხდება, თუ მე თავად ვერ შევითავსებ რეპეტიტორის როლს?**

როცა მოსწავლეები „ხანის აკადემიაზე“ სავარჯიშოებს აკეთებენ, ისინი მაშინვე იღებენ შეფასებასა და უკუკავშირს პლატფორმისგან. არასწორი პასუხის შემთხვევაში ისინი იღებენ მინიშნებებს, ნაბიჯ-ნაბიჯ გადაჭრილ სანიმუშო მაგალითებსა და შესაბამისი სასწავლო ვიდეოების ბმულებს.

დღეს ონლაინ რესურსების დიდი სია არსებობს. იხილეთ Common Sense Media-ს რეკომენდებული რესურსების [სია](#).

თუ გყავთ პაგარა შვილი და რეპეტიტორის როლის შეთავსებას ვერ ახერხებთ, ეცადეთ, 15-30 წუთის განმავლობაში წაუკითხოთ მათ ძილის წინ.

### **როგორ დავეხმარო შვილს სწავლაში, თუ თავადაც არ ვიცნობ ამა თუ იმ საგანს?**

საკითხის არცოდნა არ არის პრობლემა. გამოიყენეთ ეს შესაძლებლობა და მიეცით შვილს მაგალითი: თავადაც დაინტერესდით და ისწავლეთ ახალი საკითხები.

შეიძლება, თქვათ, „მეც არ ვიცი ყველა პასუხი, მოდი, ერთად გავიგოთ, როგორ დავეუფლოთ ამ მასალას.“ „ხანის აკადემიაზე“ საძიებო ველის დახმარებით შეგიძლიათ, ნებისმიერი ვიწრო საკითხი მოძებნოთ, მაგალითად, „ტოლი კუთხეები“.

თუ თქვენ ან თქვენს შვილს ამ ყველაფერთან გამკლავება გიჭირთ, გახსოვდეთ - ეს ბუნებრივია!

### **როგორ დავეხმარო შვილებს სახლში სწავლაში, როცა თავადაც სახლიდან ვმუშაობ?**

გამოყავით დრო, რომელსაც ერთი-ერთზე საკუთარ შვილს დაუთმობთ. შეიძლება, ამ დროში ერთად წაიკითხოთ, მოიწყოთ შესვენებები ან სადილი. ერთად გასაგარებელი დროის გამოყოფა დაგეხმარებათ საზღვრების დაწესებაში.

მაგრამ მშობლებმა ვიცით, რომ ბავშვები ხშირად გვაწყვეტინებენ. შემოიღეთ წესები, რომლებიც ბავშვმა უნდა დაიცვას, თუ თქვენი ყურადღება დასჭირდება. მაგალითად, დააკაკუნოს თქვენს კარზე, სანამ თქვენ მუშაობთ.

ჩვენს გუნდს ძალიან უყვარს ე.წ. „ჩეკლისტები“ - გასაკეთებელი საქმეების სია. უფროს ბავშვებს ისინი უფრო მეტად ეხმარება. როცა ბავშვი მოდის და გეუბნებათ, რომ „მოიწყინეს და არ იციან, რა აკეთონ,“ უბიძგეთ მათ, მიყვანენ საქმეების სიას.

მოსალოდნელია, რომ გაჩნეს გარკვეული დაძაბულობაც. შეიძლება, თავადაც დაიძაბოთ და წყობიდან გამოხვიდეთ - ეს ყველას მოგვსვლია. ასეთ დროს ამასაც ისე შეხედეთ, როგორც შესაძლებლობას. მიეცით შვილს მაგალითი: მოუბოდიშეთ მას. მაგალითად: „ბოდიში, რომ გიყვირე. სტრესს განვიცდიდი და მივხვდი, რომ ჯობდა, ყვირილის მაგივრად ცოცხა გამესეირნა. მოდი, თავიდან დავიწყოთ, კარგი?“

და ბოლოს, გაგებით მოეკიდეთ საკუთარ თავს. იდეალური მშობელი არ არსებობს - არსებობს ბევრი გზა იმისა, თუ როგორ ვიყოთ კარგი მშობელი.

### **როგორ შეუძლია „ხანის აკადემიას“ თქვენი დახმარება?**

ჩვენ ვმუშაობთ იმაზე, რომ გავიგოთ, რა გამოწვევები აქვთ მშობლებსა და მოსწავლეებს სკოლის დახურვის პერიოდში. მოგვწერეთ, თუ ჩვენგან დახმარება დაგჭირდათ: [info@educaregeorgia.com](mailto:info@educaregeorgia.com).

საუკეთესო სურვილებით,

„ხანის აკადემიის“ გუნდი